ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

2019-2020 სასწავლო წელი

(შემოდგომის სემესტრი)

მიმდინარე სასწავლო წელს სტუდენტთა გამოკითხვა ჩატარდა სასწავლო კურსებისა და პედაგოგთა შესაფასებლად. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს მედიცინის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა. გამოკითხვა იყო ანონიმური. სწავლების ყველა ასპექტის (სილაბუსი, ლექტორი, სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა, გარემო და ა.შ) გათვალისწინებით სტუდენტებმა შეაფასეს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გავლილი ყველა სასწავლო კურსი 5 ქულიანი სკალით, სადაც 1-სრულიად არადამაკმაყოფილებელია; 2-არადამაკმაყოფილებელია; 3-დამაკმაყოფილებელია, 4 კარგია და 5 ძალიან კარგია. პოზიტიურ შეფასებად ჩაითვალა 4 და 5 ქულიანი შეფასება.

გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა სტუდენტთა დამოკიდებულებები სასწავლო კურსების და ლექტორების მიმართ. გამოკითხვაში მონაწილე პირველკურსელთა უმეტესობის მიერ პოზიტიურად შეფასდა შემდეგი სასწავლო კურსები: შესავალი კურსი კლინიკურ ანატომიაში 1 (80,0%), ჯანმრთელობის ხელშეწყობა (70,9%), ციტოლოგია (69,0%), სამედიცინო ეთიკა (67,3%), კლინიკური

უნარ-ჩვევები 1 (67,3%), სამედიცინო ინფორმატიკა (61,8%), უცხო ენა 1 (63,6%), გარემოს ჯანმრთელობა (60,0%).



სამედიცინო ქიმია

გამოკითხვაში მონაწილე პირველკურსელთა უმეტესობის მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული სამედიცინო ქიმია (63,6%), ხოლო დამაკმაყოფილებლად სამედიცინო ბიოფიზიკის საფუძვლები (78,1%)



კითხვარში სტუდენტების მიერ წარმოდგენილი იქნა ძალიან დიდი რაოდენობით კომენტარები, რომელთა შორის დაფიქსირებული არის სწავლების პოზიტიური ასპექტები, დასახელებულია სტუდენტებისთვის გამორჩეული ლექტორები და ამავდროულად სხვადასხვა ტიპის პრობლემური საკითხები, რომლებიც დავაჯგუფეთ ძირითადი კატეგორიების მიხედვით, ესენია:





სასწავლო პროცესის ორგანიზება: ცხრილებში ცვლილებები, გამოცდების ორგანიზება, ერთეულ შემთხვევებში სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა და სილაბუსების ხელმისაწვდომობა;

ინფრასტრუქტურა: კლინიკური უნარების სწავლება მულიაჟებზე და მანეკენებზე, ინფრასტრუქტურა (მცირე ზომის სასწავლო ოთახები), სამედიცინო ქიმიის სემინარებზე სტუდენტთა რაოდენობა, დეკანატის სველი წერტილები;

კურიკულუმი: საკონტაქტო საათების ნაკლებობა, სასწავლო კურსის სხვა კურსზე გადატანა;

ლექტორი: ცალკეულ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემები, ერთეულ შემთხვევებში შეფასების ფორმების ცვლილება (წერითის ნაცვლად ზეპირი გამოკითხვა), ლექტორისგან უკუკავშირის მიღების შეუძლებლობა, მასალის დაგვიანებით მიწოდება (საღამოს 10-11 საათზე).

გამოკითხვის შედეგები მიეწოდათ სტუდენტებს და პროგრამის ხელმძღვანელებს.